

რედაქცია: სოლოჯოკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მომწერა მიიღება რედაქციაში, ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. Въ редакцію газ. „Д р о б а“.

გაზეთის ფასი: მთელის წლი-სა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სა-მის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

სალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ქოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განსაზღვრეს: მთელის წლი-სა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სა-მის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

რედაქციას უფლება აქვს გა-ასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდე-ლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნ-დავ.

## ტელეგრაფები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

3ვნა, 10 მაისს. საზოგადო ყურადღება აქ ბოლგარიის მთავარს ალექსანდრე ბატტენბერლზედ არის მიქცეული. შევ-ლამ შეამჩნია, რომ იმ სადილზე, რომ-მელიც იმპერატორმა ჰრანც-ნიოსიძმა გაუმართა ბატტენბერლს, არც ერთი რუსი არ ყოფილა მობატყებული.

სალონიკი, 11 მაისს. მაკედონიის აჯანყებულთა მოთავემ მიჩინოვმა მოა-გროვა ყველა თავის მომხრეების თავი კაცები და ერთად გადაწყვიტეს, რომ თოფი-იარაღი არ დაჰყაროთ და განაგრ-ძონ აჯანყება. მიტროპოლიტმა ათანა-სემ 15 ვერცხლის პიასტრი შეაწერა ყვე-ლა სახლის-პატრონს აჯანყების სასარ-გებლოდ. მანდგომილების ძალას შეა-დგენს: 4 ატრიადი, 6 ზარბაზანი და 1,800 ცხენოსანი ჯარი.

3ვნა, 11 მაისს. ბრაფ ანდრასჩის არ მიიღო რუმელიის დეპუტატები ზეშოვი და ანკულოვი; ესენი ბერლინში და იქილამ ლივადიაში მიდიან.

ლივადია, 12 მაისს. „მმართველო-ბის მოამბეში“ იწერებან ხონტქრის ელჩი ნამიკ-ფაშა მოვიდა გუშინ იალ-ტაში; ნაშუადღევს პირველ საათზე ის მიიღო ხელმწიფე იმპერატორმა და შემ-დგომ იმპერატრიცამ ინახულა; იმ დღეს-ვე ნემიკ-ფაშა ხელმწიფემ სადილად მიი-პატივა. ღღეს ნემიკ-ფაშა სტამბოლში დაბრუნდა.

დრეზდენი, 13 მაისს. ღღეს მოვიდა აქ ბოლგარიის მთავარი და აქედამ ბერ-ლინში წავიდა.

## საქართველო

ჩვენი თავად-აზნაურობა

(შეიკრები წლევეანდელის კრებების გამო)

სტატია მეორე

ორგვარი აზრი და შეხედულობა არის ჩვენს საზოგადოებაში ჩვენს თავად-აზნა-ურობაზე და იმის დამოკიდებულებაზედ გლენხთან: ერთნი ამბობენ, რომ ჩვენს თავად-

აზნაურსა და გლენს შუა სრულიად არა-ეთარბ განსხვავება არ არის; ერთიც ღარიბია და მეორეცაო, ერთიც უმეცარი და გაუნათლებელია და მეორეცაო; ჩვენს თავად-აზნა-ურობაში არ ჰსუფევს არაგი-თარი ფეოდალური, შთამომავლობითი ამპარტაუნობა და მედიდურობაო, გლენს ის როგორც თავის თანასწორსა და ძმას, ისე უყურებს; არაეთარბი განსაკუთრე-ბული მიდრეკილება და მიმართულება იმაში არ მოიპოვება; რაც გლენსთვის ჭირია, ის თავდასაცა და აზნაურსაც თავის ჭირად მიიჩნიაო; რაც თავადს ახარებს, ის ახარებს გლენსაცაო.

მეორეები კი პირ-იქით ამტკიცებენ, რომ ჩვენს გლენსა და თავად-აზნაურს შუა უბსკრული არის; ერთის ლხენა მეორისათვის ჭირიაო, რაც ერთისათვის ჭირს შეადგენს, ის მეორეს ლხენად მი-იჩნიაო. თავად-აზნაურობამ თავის გან-კერძოებული ლტოლვილება, თავის გან-სხვავებული ინტერესები გაიჩინა; გლენ-ხი იმას თავის მეწველ ძროხად მიიჩნიაო და სხ. და სხე.

ის არის ორი უკიდურესი შეხედულებ-ბა ჩვენს თავად-აზნაურობაზე.

როგორც ხშირად, აქაც ჭეშმარიტება ამ ორს აზრს შუა არის; ჩვენის აზრით, ორივე მართალია და ორივე მტყუანია.

მართალია, ჩვენი თავად-აზნაურიც უმეცარი და ღარიბია და გლენიც; მაგ-რამ ისიც მართალია, რომ თავად-აზნა-ური რაც უნდა იყოს, ამ მხრით ცოტა-თი მაინც წინ დგას ჩვენს გლენზედ. მართალია, ჩვენს თავად-აზნაურს არა აქვს ისეთი ფეოდალური, შთამომავლო-ბითი ამაყობა და მედიდურობა, რო-გორც საზოგადოთ არისტოკრატიულ წოდებას მოსდევს; მაგრამ ისიც მარ-თალია, რომ ჩვენი თავადი არასოდეს არ გაუყადრებს თავს ჩვენებურ გლენსა. მართალია, საქართველოს თავად-აზნა-ურს არა აქვს საზოგადოთ გლენისაგან განსხვავებული ინტერესი; მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ ორ წოდებათა ინ-ტერესები ერთობ ხშირად შეტაკებიან ერთმანეთს და სადაც ერთს თავის სარ-გებლობა უძებნია, მეორესთვის იქ ენე-ბა და ზნევა აღმოჩენილა.

და დიდის, დიდის მწუხარებით, უნდა ვაღვიაროთ, რომ ამ განცალკევებაში, ამ განხეთქილებაში, ამ საზოგადო-საჭი-როებისა და ინტერესების გაყოფაში ბრა-ლი მხოლოდ ერთს ჩვენს თავად-აზნა-ურობასა აქვს.

დასამტკიცებელი მაგალითები ამისა-თვის ათასია. მაგრამ რადგან ეს შენი-შნებები ოფილისის და მუთაისის თავად-

აზნაურთა კრებების გამო იწერება, ამის გამო მოგვყავს აქ მხოლოდ ის მაგალიტ-ები, რომელიც ამ კრებებმა წარმო-გვიდგინა:

ამ წლის დამდეგს, თავად-აზნაურთ-ბის საზოგადოებისა და თავად-აზნაურ-თა საადგილ-მამულო ბანკის შემწეობით, დაფუძნდა სა-ა-ზ-ნ-ა-უ-რ-ო-ს-ს-კ-ო-ლ-ე პან-სიონით, რომელშიაც, წესდებით, უპი-რატესობა აქვს მთ. გუბერნიის თავად-აზნა-ურთა შეილებს. რამდენათაც ჩვენ ვიცით, ამ სკოლაში 70 მაგირდში ამ ყამად მხოლოდ ერთსა გლენის შეილი და ასიც გამოირიცხებათ, რადგან ერ-თობ ნიჭიერი ყმაწვილი არის!

წლევეანდელმა ბანკის კრებამ ამ სკო-ლისათვის ხმა-ამოულებელად, ბანკის წმინდა შემოსავლიდამ 13,500 მანეთი შესწირა. მაგრამ, როდესაც იმაზე ჩამო-ვარდა ლაპარაკი, რომ ამავე თავად-აზნაურობას შეეწირა 11,000 მანეთი „საქართველოში წერა-კითხვის გამავრ-ცელებელ საზოგადოებისათვის“, ისეთის საზოგადოებისათვის, რომელიც ვალდებ-ულია თავად-აზნაურისა და გლენის შეილების განათლებაზედ ერთნაირად იზრუნოს, როდესაც ამაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, მაშინ პატივცემულ დ. ი. შიფიანსა და ილია ჭავჭავაძეს უნდა წარ-მოეთქვათ მჭევრმეტყველური, მაგარი, მგრძობიარე სიტყვა, უნდა ბევრი ვრ-ჩიათ, ეხვეწნათ, ექადაგნათ კრებისათვის, და მხოლოდ ამის შემდეგ დაითანხმეს თავად-აზნაურობა, რომ ეს ფული შე-ეწირათ!

დაითანხმეს, მაგრამ ვაი ამისთანა და-თანხმებას: მეორე დღესვე ჩვენი თავად-აზნაურობა დიდ საყვედურს აცხადებდა დიმიტრი შიფიანზე და ილია ჭავჭავა-ძეზე, რომ იმათ ტყბილმა ლაპარაკმა „გამოგეტყუა“ ის ფულიო, არ ვიცო-დით, თუ ამ საზოგადოების საშუალე-ბით გლენებისთვის გაიმართებოდა სკო-ლებიო, თუ ეს საზოგადოება გლენების განათლებისათვისაც, ზრუნავსო, თორემ აბა რას მივცემდით იმ ფულსაო!

ამ გვარივე და ამაზე უფრო ჩვენი თავად-აზნაურობისათვის სასიკცხო მო-ვლენა მოხდა მუთაისის ბანკის კრებე-ბის დროს.

როცა საქალბო გიმნაზიის შეწყენა-ზედ, იქაურ შეუძლებელ მოსწავლეთა მზრუნველ საზოგადოებისათვის ათასი მანეთის გადაღებაზედ, შემოსხენებულის „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზო-გადოებისათვის“ ხუთასის თუმნით და-ხმარებაზედ და სხვა ამ გვარ ნამდვილ საზოგადო-საჭიროებაზედ ჩამოვარდა



ლაპარაკი, წამოვარდებოდა ერთი ვილაც მინ. ღარანველიძე და მუდამ ერთსა-ღამევი მინიატურულ ფრანსა წამოისროდა: „— იმ სასწავლებელში გლეხის შვილებიც სწავლობენ! ია საზოგადოება გლეხის შვილებისთვისაც მმართველს უკოლას! ბანკის ფული ჩვენი! მარტო თავდაზნაურობისთვის უნდა დაიხარჯოს ყოველი იმის კაპეიკი! და სხვ. და მთელი კრება იმერეთის, რაჭის, ზურბის, სამეგრელო-ლეჩხუმის თავდაზნაურთა ტაშს უკრავდა, ბანს აძლევდა და აღტაცებით ეთანხმებოდა თავის მხნე ორატორს, თავის ინტერესებს და მცველს!

მართი უშველებელი აყალ-მაყალი და დავი-ღარაბა ატყდა მუთაისის კრებაში იმ ორას მანეთზე, რომელიც ზედამხედველ კომიტეტს მიეცა შარშან ერთი ვილაც გლეხის სტუდენტისათვის.

— როგორ გაბედეთ და რად გაბედეთ! დავიღუპულვართ! ჩვენი ფულიები გლეხებისათვის დაუბრუნებიათ! მინ მოგცათ ნება! რა უფლება ჰქონდათ, რომ ვილაც ყაზახის შვილისათვის მიგიციათ თავდაზნაურობის ფული?!

და ბევრი ამისთანა სიტყვები დახარჯეს, ბევრი ამისთანა მწარე საყვედური გამოუტყდადეს ზედამხედველ კომიტეტს სულ იმავე ორასი მანეთის გულისათვის!

სხვა მაგალითები რომ არ მოვიყვანოთ, მარტო აქედამაც ცხადათ ხიანს, თუ აგარი ლტოლვილება, რა მიმართულება სუფევს ამ ქადავს ჩვენს თავდაზნაურობაში.

შველ გონიერ თავდასა და აზნაურს სასირცხოთ უნდა მიაჩნდეს ამისთანა სიტყვების წარმოთქმა—ისიც საზოგადოებაში, საქვეყნოდ.

სასირცხოთ უნდა მიაჩნდეს იმიტომ, რომ ის გლეხი, რომლისთვისაც თქვენ კაპეიკი გენანებათ, საცა კი თავის ოფლით მონაგებ ფულებით უკოლას გახსნის ხოლმე, არ არჩევს თქვენს შვილს თავის შვილთან და არასოდეს უკმაყოფილება არ გამოუტყდადებია, როდესაც იმის უკოლაში თავადის ანუ აზნაურის შვილიც შესულა სასწავლებლად.

სასირცხოთ ამიტომ, რომ ის გლეხი, რომლისთვისაც თქვენ კაპეიკი დაგენანათ, როგორც ჩინებულად სთქვა თ. ღათა მიქელაძემ, ორი ათასი და მეტის წლის განმავლობაში არის ჩვენი მრჩენელი, ჩვენი მკვებავი, ჩვენთვის დღე-ღამე ოფლის მწურავი, ერთის სიტყვით ჩვენი სიცოცხლისა და ცხოვრების წყარო.

სასირცხოთ იმიტომ, რომ ვერ გავიგია უბრალო ჭეშმარიტება, რომ გლეხის განათლებას და კეთილდღეობას დამოკიდებულია ჩვენი თავდაზნაურობის საკუთარი განათლება და კეთილდღეობა; ვერ გავიგია, რომ, თუ გლეხი უმცვარი და ღატაკი იქნა, ჩვენც უმცვარი და ღატაკი ვიქნებით.

სასირცხოთ ამიტომ, რომ ჩვენ, თავდაზნაურობა, რომელიც რაც უნდა იყოს მოწინავე საზოგადოებათ ვთვლით ჩვენ თავს, ამისთანა საძაგელ, ამისთანა ცუდს მაგალითს უჩვენებთ ხოლმე, ქვეყანას...

სხვაც ბევრი რამ სასირცხო და სამწუხარო სიტყვები წარმოითქვა და საქმეები ვაკეთდა მუთაისისა და მფოლისის თავდაზნაურთა უკანასკნელ კრებებზედ. ამასზედ და ამორჩევების შესახებ შემდეგ ნომრამდინ ვადავლეთ საუბარი.

ს. მ.

**კრება თვ. თავდაზნაურთა საზოგადოებისა შუაქალაქელ მოსწავლეთა შიშხიანისათვის.**

ათს ამ თვისას მფოლისის საადგილმამულო ბანკის სახლში მოხდა წლიური კრება მფოლისის გუბერნიის თავდაზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის.

კრებასა ჰქონდა სრული შინაური ხასიათი. შველა რიგზედ ღატაკობდა თავის ადგილიდან მჯდომარე.

შიშხიანისათვის წაკითხულ იქნა ანგარიში კომიტეტისა შესახებ მისი წასრული მოქმედებისა. ამ ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ კომიტეტმა საზოგადოების მიზნის უკეთეს მისაწეველად საქიროდ დაინახა მოსამზადებელი უკოლის გახსნა, სადაც ქართველთა შვილები მიიღებენ პირველ-დაწყებით სწავლას და მოემზადებიან სხვა-და-სხვა სასწავლებლებში შესასვლელათა. უკოლაში უნდა იყოს ოთხი განყოფილება, წლიური კურსით თვითოეულში. სასწავლო საგნები არიან: საღმრთო სჯული, ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, დაკრძევითი სწავლა, ხატვა, გალობა და გიმნასტიკა.

უკოლა გაუხსნიათ თებერვლის დამდეგს და პირველსავე დროს შესულა 67 მოწაფე. მათგანი 27 პანსიონში ყოფილა, ორმოცი გარედგან მავალი; სტუპენდიანტებში 11 ყოფილა საზოგადოების სრულ ხარჯზედ, ხუთი ნახევარს ხარჯზედ, ათი თუმანის შეტანით, და 11 პანსიონერი თავის ხარჯზედ ოცი თუმანის შეტანით. გარედგან მავალთაგანი 20 მოწაფე სწავლის ხარჯიდან, რომელიც სამს თუმანს შეადგენს, განთავისუფლებული ყოფილა და ოცი კი ვალდებული ამ ფულის შეტანისა. უკოლაში ყოფილა ერთი ანსპექტორი და ორი მასწავლებელი.

ზამგებელ კომიტეტს სახარჯო ფულად შეჰსვლიასულ 8,269 მანეთი. აქედგან კომიტეტს დაუხარჯნია უკოლის მომართვაზედ და გაწყობაზედ 4,210 მანეთი, ხოლო უკოლის შენახვაზედ მოუხმარებია თებერვლიდან ვიდრე მაისამდე 2,746 მანეთი; დარჩენია კიდევ 1,312 მანეთი.

ცხარე ბაასი ასტეხა ანგარიშის იმ ადგილმა, სადაც მოხსენებული იყო, რომ სწავლა პირველ სამ წელიწადს უნდა იყოს ქართულ ენაზედ და მეოთხე წელიწადს რუსულს ენაზედ. ილია შავჭავაძე ამტკიცებდა, რომ სწავლა მეოთხე წელსაც ქართულს ენაზედ უნდა გავრძეოდეს და რუსული ენა მთელი კურსის განმავლობაში იყოს ცალკე საგანი და არაა სწავლის საშუალებათა.

ამასთან იმასაც უმატებდა, რომ მთხი წლის განმავლობაში მასწავლებლები რუსულს ენას კარგად შეასწავლიან ბავშვებსაო, თუ იგინი იქნებიან მხნენი და მარჯვენო.

ამავე ჰაზრს ესარჩლებოდნენ ბ. წერეთელი და ივ. მახავლი. ნ. ცხვედაძე არ ეთანხმებოდა ამათ; იგი ამტკიცებდა, რომ მართალია, მეტათ სასურველი და სანატრელი საქმეა ქართული ენის შეუწყვეტელი ხმარება უკოლაში, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება დაუბრკოლებლივ ასრულდეს, როდესაც ჩვენ თვითონ გვექნება ჩვენი საკუთარი გემნაზია. ახლა კი ამ ჰაზრის ასრულება უკოლის მიზანს წინ გადაეღობებაო. ჩვენი უკოლის მოწაფეთ უნდა დაიჭირონ ეგზამენია სხვა-და-სხვა საშუალო სასწავლებელში შესასვლელათ და ამ სასწავლებლებში ისეთი ყურადღება მიქცეული რუსულ ენაზედ და ისეთ წმინდა რუსულს ითხოვენო, რომ ჩვენი მოწაფეები გამარჯვებით კონკურენციას ვერ გაუწევენო სხვანა მომზადებულ ყმაწვილებსა, თუ ერთს წელიწადს მაინც არ ივარჯიშებენ რუსულ ენაზედ სწავლის გადაცემაში და არ შეისწავლიან მტკიცეთ საგნების ენასა, მათი ტერმინოლოგიით.

ორივე მხარე მტკიცედ იღვა თავის ჰაზრზედ და კრებაც ყუმბაში იყო. ამ დროს ითხოვა ნება სიტყვისა კომიტეტის წევრმა უფ. იაკ. ბოგებაშვილმა და სთქვა: „მა ბაასი იმიტომ ატყდა, რომ ანგარიში დაწერილებით არ არის განმარტებული ეს საგანი. ია პირნი, რომელნიც წინააღმდეგნი არიან რუსულ ენაზედ სწავლებისა მეოთხე განყოფილებაში, უსათუოთ ფიქრობენ: პირველ სამ წელიწადს სამ ნაწილს ყველა საგნებისა ქართულათ გაივლიან მოწაფენო და მეოთხე წელიწადს მეოთხე ნაგლეჯს რუსულათო და მაშასადამე მთელი საგნების სწავლება ქართულ ენაზედ არ დამყარდებაო. მა ასე არ გახლავთ: ის საგნები (არითმეტიკა, საღმრთო სჯული), რომლებშიაც ეგზამენია უნდა დაიჭირონ ჩვენმა მოწაფეებმა, პირველ სამ წელიწადს უნდა გაათავონ სრულიად, თავით-ბოლომდის, ქართულ ენაზედ და მეოთხე წელიწადს რუსულ ენაზედ მხოლოდ უნდა გაიმეორონ ყველა ის, რაც უსწავლიათ ქართულათ. იმ საგნებს კი (გეოგრაფია, მაგალითად), რომლებსაც კოდნა არ მოეთხოვებათ ჩვენს მოწაფეთა ეგზამენის დროსა, ჩვენი მოწაფენი ისწავლიან ქართულად არა მარტო სამ წელიწადს, არამედ მეოთხესაცა. ამ გვარი დაწყობილება იცავს ყველა საგნების ინტერესსა და არც ერთი მხრით დასაკლისი არ არის. ეს დაწესებულება კომიტეტმა თავდაპირველათვე მიიღო და სისრულეში მოიყვანს, როცა უკოლა თავის კალაპოტში ჩავარდება და გაიხსნება ოთხივე განყოფილება.“

კომიტეტის ამ გვარი გადაწყვეტილება კრებამ შერიცხა მოხერხებულათ და გონივრულათ და სრულიად კმაყოფილი დარჩა.

ანგარიშის ბოლოს მოხსენებული



იყო, რომ რადგანაც წრეულ ოფილის ბანკმა შკოლის სასარგებლოდ შემოსწირა 13,500 მანეთი, ამიტომ კომიტეტს განზრახვა აქვს შემდეგი სექტემბრიდან შკოლა გადიდოს: ბანსონში იყოლიოს თავის ხარჯით, თხუთმეტი ყმაწვილის მაგიერ, ოც-და-ათი, გარე შევირდების რიცხვი ერთი ორად აქციოს, ასე რომ მთელ შკოლაში იქნას 120 მოწაფე, და მოიწვიოს მესამე მასწავლებელი.

პრეზას ძალიან იამა შკოლის გადიდება, მაგრამ ზოგმა შიში გამოსთქვა: ვაითუ შემდგომ წლებში ბანკმა მავდენი ფული ვეღარ მისცეს საზოგადოებასო და შკოლა ცუდ-მდგომარეობაში ჩაეარდესო. მაშინ ერთმა კომიტეტის წევრმა აუხსნა საზოგადოებას, რომ, თუმცა შემდეგი სექტემბრიდან გადიდებულ შკოლაზედ თვეში ასი თუმანი წავა და წლის ხარჯი ათას-ორას თუმანამდის მიახწევსო, მაგრამ უკანასკნელი ხუთასი თუმანი მოწაფეთაგან, საზოგადოების წევრებისაგან და სპექტაკლ-ბალებისაგან შემოუფა კომიტეტსაო და საზოგადოების ფულიდან მხოლოდ შეიდასი თუმანი დაიხარჯებაო.

პრეზა გათავდა კომიტეტის წევრების შევსებით: თავმჯდომარედ, თ. ბიორგი რომანისძე მრისთავის მაგიერ, რომელიმაც შარშანვე უარი სთქვა ამ თანამდებობაზედ, ერთხმად ამოიჩიეს ძონს-ტანტინე ძრისტეფორეს ძე მამაცაშვილი, მის თანაშემწეთ თავადი დ. ავალი-შვილი, წევრებათ კნინა ბარბარე ანდრონიკაშვილისა და ნ. ცელიშვილი.

ბოლოს კრებამ სთხოვა თავმჯდომარეს, რომ მან საზოგადოების სახელით მადლობა განუთქცადოს მანანოვის სახლობას იმ დიდი ამაგის გულისათვის, რომელიც მან დასდო შკოლას მსურველ მონაწილეობის მიღებით მის განწყობალობაში და მომართვაში.

**მუთაისის ბანკის კრება**

30 აპრილს.

შემდეგი კითხვა იყო—შემწეობა ღარიბ მოსწავლეთა საზოგადოებას, რომელიც არსებობს ქ. მუთაისში. პირველთ დიდი უარი ჰსთქვეს ამ შემწეობაზე, ბევრი წინააღმდეგი სიტყვა წარმოასთქვა ამისი, და საფუძველი იყო ამ თანაუგრძობლობისა შემდეგი: საზოგადოებას მიზნათა აქვს ყველა წოდების ყმაწვილებს შეეწიოს, და არა მარტო აზნაურების შეილებსო; ჩვენი სურვილი კი ის არის, რომ ჩვენ ფული მარტო ჩვენ შეილებს მოჰმარდესო.

ანტ. ლორთქიფანიძე (კომიტეტის წევრი). ბატონებო! მომეცით ნება მოგახსენოთ ორიოდ სიტყვა. სწორეთ მაკვირვებს მე თქვენი მოქმედება. შემოვიტანეთ აზრი სამეფო სახლის შეკეთებაზე, და თქვენ უარი სთქვით, მშვენიერი სახლი ხელიდან გაუშვით. რა უშავდა იმ სახლს დასაწუნებელი? უკეთესი ხის სახლი მუთაისში არ მოიძებ-

ნება. რომელი ჩვენგანი ცხოვრობს უკეთეს სახლში? ახირებულა! ამას გარდა შემოვიტანეთ აზრი, რომ ოფილისის წერა-კითხვის დაპირველ-დაწყებითი სწავლის გამავრცელებელ საზოგადოებას 5000 მ. შეესწიროთ, და თქვენ არ ინებეთ ამდენის მიცემა, ნაკლები მიეცით, მაშინ როდესაც იმ საზოგადოებას სახეში აქვს უმთავრესათ იპერეთში იმოქმედოს. ახლა მოგახსენებთ ღარიბ მოსწავლეთა საზოგადოების დახმარებაზე და თქვენ უარს ამბობთ. ეს საზოგადოება ერთი წელიწადი არ არის. რაც არსებობს, მაგრამ ბევრს ღარიბ ყმაწვილს დაეხმარა: ზოგს ფეხსაცმელი მისცა, ზოგს ტანსაცმელი, პერანგი და ძისი ამხანაგი, ზოგს სასწავლებელში შესატანი ფული. ამ ყმაწვილებში, რომელთაც შემწეობა მისცემია საზოგადოებისაგან, ბევრია აზნაურის შვილები. სხვაზე არაფერს ვიტყვი, ჩემს ბიძაშვილს უყიდეს წულები და ჩააცვეს, თორემ ფეხშიშველი იყო. როგორ შეიძლება, რომ ამისთანა კეთილმოქმედ საზოგადოებას არ მიეცეთ შემწეობა?!

დაიწყო ხმაურობა. ჩამოვარდა ბანკის წევრება შუა კერძო ბაასი ამ საგნის-თაობაზე. შემდეგ დაწყნარდნ. ბადაჰსწყვიტეს, ღარიბ მოსწავლეთა საზოგადოებას მიეცეს ასი თუმანიო.

ამის შემდეგ კომიტეტმა წამოაყენა კითხვა ქალების გიმნაზიის დახმარებაზე. ამ გიმნაზიას უთხოვია ბანკსათვის, რომ ყოველ-წლივ ათასი მანეთი შემოგვაწიეთო. კომიტეტის აზრი იყო, რომ ყოველწლივ ათასი მანეთის მიცემას ვერ გადავსწევთო; მაგრამ ახლა კი მივსცეთო ეს ათასი მანეთიო.

—პრა! პრა!“ შეიქნა ყოველი მხრიდან გაცხარებით ძხილი.

ანტ. ლორთქიფანიძე. რას ეზზგავსება, რომ ახლაამაზე უარი ესთქვათ? აქამდის ვეხვეწებოდით მთავრობას, საქალებო გიმნაზია გაგვიხსენიო და შემწეობას მოგცემთო. მთავრობამ ჩვენი ხვეწნა ისმინა, გიმნაზია გაგვიხსნა და შემოუთვლია ახლა: თქვენ რომ დაგვიპირდით, იმისას რას შემოგვითვლითო. რა შეგუთვალთ? შარი?

—მერ გაუფზანით ათას მანეთს, ვერა!“ ისმის ყოველი მხრიდან.

უფ. მ. ღარანველიძე. შუალო პრედსედატელო! გაგვაგებთ ერთი: მარტო თავადიშვილების და აზნაურების შეილებს მოჰმარდება ეს ფული, თუ სხვებსაც? ეს ძლიერ საჭიროა ვიცოდეთ.

შველამ იცის, რომ ქალების გიმნაზიაში მარტო ბანკის დამფუძნებელ აზნაურობის შეილები კი არ იზრდება, არამედ სხვებიც, და ესაა უმთავრესი მიზეზი უარისა. ბევრი სიტყვა წარმოითქვა იმაზედ, რომ ქალებსაც უნდა მიეცეს აღზრდა, რომ იმათ უკეთ ასარულონ ცხოვრებაში თავის მოვალეობა, მაგრამ დიდხანს ვერაფერმა შეანძრია დიდი უმეტესობის უარი, რომელზედაც, როგორც კლდეზე კვერცხი მიახლო, ისე შეასქდა ბევრი კარგი სიტყვა და მოსაზრება.

პირ. ლორთქიფანიძე. ნათქვამი უარს ამბობს საქმეზედ, რომლის დახმარებისას, და უსათუოთ მიზეზიცა აქვს უარისა. ამბობენ, სამეგრელოს კაი ძალი ფული ჰქონია გადადებული, რომლის სარგებლით უნდა აღზრდილიყო ღარიბების შეილება. აღმოჩნდა, რომ იმ ფულებით მდიდარ კაცების შეილები იზრდება, და არა ღარიბებისა. (ბრაო და ტაში). ამის შემდეგ, რასაკვირველია, საზოგადოება გულგრილათ მიიღებს მოწოდებას სასწავლებლის დასახმარებლოთ. ქალების სწავლებათლება დიდათ სასარგებლო საქმეა და, შეძლება რომ გვექონდეს, ბევრი უნდა შეესწიროთ ამ საქმესაც. ახლა ათას მანეთს გვთხოვენ. ეს ისეთი მცირე რამ არის, უარის თქმა სირცხვილია. (შეიქნა ძახილი და სხვა-და-სხვა მხრიდან: „თანახმა ვართ!“ — „პრა, არა! პრა ვართ თანახმა!“)

დიდის თანაგრძობით იღეს პირ. ლორთქიფანიძის სიტყვა ბევრმა. მტყობოდა ჰკუაში მოუვიდა ეს სიტყვა წერილ მემამულეებს; ორი-სამი თავადი შეილი, მდიდრები, კი გაცხარდნ. მრთს თავადიშვილსა და აზნაურს შუა კინაღამ ჩხუბი მოჰხდა. აზნაური ამბობდა, რომ ლორთქიფანიძე მართალს ამბობსო, და ეს თავადიშვილს მეტის-მეტათ არ იამა.

ბადაჰსწყვიტეს, რომ საქალებო გიმნაზიას გავეზავნოს ათასი მანეთი.

ბადაჰსწყვიტეს აგრეთვე ათასი მანეთის დახარჯვა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა დასახმარებლოთ. კომიტეტს მიანდევს ამ ფულების დახარჯვის განკარგულება. პირველათ უარი ჰსთქვეს ამ ფულის დანიშნაზედაც; მიზეზათ ის მოჰყავდათ, რომ ამნაირათ დანიშნული ფული გლეხის შეილების დასახმარებლოთ მიდისო. ამ დროს თავ. დ. მქელაძემ ჰსთქვა, რომ სირცხვილია ამდენი ლაპარაკი რაღაც ორას მანეთზე, რომელიც გლეხების შეილებზე დახარჯულაო. ნუ დავიფიწყებთ, რომ რამდენიმე საუკუნე ჩვენ გლეხების წყალობით გვედგას სულიო.

შესწყდება სხდომა, ერთს კუთხეში გაგვიმობენ, დაგიწყებენ ლაპარაკს და დაგაჯერებენ, შეესწიროთ ეს ფულიო, მეორეს მეორე კუთხეში და ცალ-ცალკე ყველას დაგაჯერებენ. „დროს ნულარ ვკარავთ, დვეთანხმოთ; ხომ დაგვითანხმებენ მინც.“

ბ. ლობაბერიძის სახლზე სტიპენდია დეპარტო პეტერბურლის უნივერსიტეტშიო, გადასწყვიტა კრებამ. ამისთვის ყოველ წელს უნდა გადიდვას ბანკის სარგებლიდან 500 მანეთი, სანამ არ შესდგება ისეთი თავნი, რომლის სარგებელი საქაო იყოს სტიპენდიისთვისო.

პრეზამ ჰსთხოვა კომიტეტს, ჩვენ მაგიერ სამძიმოს წიგნი მიჰსწერეთ ბ. ლობაბერიძის მამასო.

ბოლოს თ. მერამ ლორთქიფანიძემ სთქვა სიტყვა ბ. ლობაბერიძეზე. მანსვენეული კეთილის მსურველი იყო ჩვენის ქვეყნისთვის, თავისი სწავლა და შრომა სრულიად ქვეყნის სასარგებლოთ ჰქონდა შეწირულიო. იმან დააყენა ფეხ-



ზე ჩვენი ბანკი, რომელშიაც თავგანწირულად შრომობდა უკანასკნელ წამადღისა. საზოგადოება უნდა აფასებდეს ამისთანა შვილს თავის ქვეყნისას და ამისთვის ურიგო არ იქნება გავუყვითოთ ძეგლი, ბანკში მისი პორტრეტი დავკიდოთ დიდით. საკვირველი იყო ხეცდრი მერაბ ლორთქიანიძის სიტყვისა: არც გაცხარებული ბაასი, არც ხელების ქნევა, არც ყვირილი. „შმეტესობა გაჩუმებული იყო, არც „კის“ ამბობდა, და არც „არას“, მხოლოდ ზოგიერთები ამბობდნენ ხმა დაბლა: „ნაშეტიანი არაფერი არ ვარგა! ახლა ისიც გვიტხარათ, რომ მისი პორტრეტი დავიდგათ წინ და თაყვანი ვსცეთ!“

სხდომა გათავდა მეოთხე საათის ნახევარზე.

## გოსხალეზანი

კომიტეტი დაწესებული აღდგინებისათვის ქართულის გალობისა ელად რაცხს გამოაცხადოს, თუ რაოდენი ფული შემოსულა პირველ ოქტომბრიდან 1878 წლისა ვიდრე ამა დღემდე სასარგებლოდ ამა საქმისა:

შემოსავალი. ტფ. სასულიერო სემინარის რეკტორის არხიმ. აბრამისაგან 28 მ., არხიმ. მაკარისგან 18 მ., იოანე ნათლისმცემლის უდაბნოდან 30 მ., არხიმ. ბრიგორისგან 6 მ., არხიმ. ქუხარისგან 7 მ. 50 კ., ძმათაგან ფერისცვალების მონასტრისა 6 მ., სიონის სობოროდან კრებულთითურთ 48 მ., სემების ეკლესიიდან კრებულთითურთ 18 მ., მღვ. დიმიტრი პოქლაძისაგან 12 მ., ქუყის ნიკოლოზის ეკლესიიდან კრებულთითურთ 18 მ., ძალუბნის ეკლესიიდან 18 მ., სოლოლაკის ეკლესიიდან კრებულთითურთ 8 მ., ქაშვეთის ეკლესიიდან 30 მ., წმინდის მარინის ეკლესიიდან 18 მ., წმინდის დავითის ეკლესიიდან 18 მ., მღვ. ილია ბერიძისაგან 40 კაპ., მღვ. პეტრე მონჩიევისაგან 6 მ., იერომნახის მესეისაგან 6 მ., ანჩისათის სობოროდან 15 მ., მაქსიმე სუხიევისაგან 2 მ. 40 კაპ., ბესარიონ ზედგინიძისაგან 6 მ., მღვ. ბრიგორი პეტრიევისაგან 9 მ., მღვ. ბესარიონ სამაღლოვისაგან 12 მ., ძმათაგან იოანე ნათლისმცემლის უდაბნოსათა 12 მ.

ბარდა ამისა ერთ დროებით შემოსწირეს: თ. ბრიგორი მრბელიანოვი 20 მ., ქენინა ქეთევან მრბელიანოვისამ 10 მ., ქენინა მლისაბედ მრბელიანისამ 10 მ., თ. აბესალომ მაჩაბელი 10 მ., პეტრე დიმიტრიევი 70 კაპ., იასე ანდრონიკოვი 20 მ., მღვ. მატათე მლიევი 5 მ., მიხაილ, ივანე და ძალსტანტინე რეიტერთ 30 მ., ლენერალ-მაიორმა თ. მიხაილ ამირაჯიბმა 20 მ., თ. დავით სუბათოვი 25 მ., ძალსტანტინე ბუჭყიევი ძმებითურთ 30 მ., თ. დიმიტრი ჯორჯაძემ 30 მ., დიმიტრი ქაფიანმა 25 მ., თ. პრასტი ჩოლაყაევი 3 მ., მღვ. იერემია ხირსელოვან 2 მ., ალექსანდრე ვახვახიანი 3 მ., შინოსრო მაჭუკარიანმა 5 მ., თ. მიხაილ ანდრონიკოვი 1 მ., მიხაილ პობიევი 2 მ., სვიმონ მეღვინეთ-სუცესოვი 1 მ., დიმიტრი ძიკნაძემ 1 მ., თ. ათანასე ვახვახიანი 1 მ., მახვილაძემ 1 მ., თ. ივანე შობულოვი 2 მ., სვიმონ რეხილაძემ 1 მ., მანო მახვილაძემ 2 მ., ილია ზარაფოვი 1 მ., ივანე ნარეკლიევი 1 მ., ივანე ხატევი 1 მ., შრისტეფორე ზარაფოვი 1 მ., ნოკოლოზ მთვარელიშვილი 2 მ., თ. რევაზ ვახვახიანი 1 მ., ქენინა მეღვინეთ ვახვახიანსამ 3 მ., ქენინა ბარბარე ვახვახიანსამ 1 მ., კნ. ბაბაღე ვახვახიანსამ 1 მ., ქენინა მკატირინა ვახვახიანსამ 1 მ., თ. ზაქარია ვახვახიანი 1 მ., ივანე ჩიკვაძემ 1 მ., დავით მაღალოვი 1 მ., საყვარელიძემ 1 მ.,

პლატონ ტარიელოვი 1 მ., მღვ. მიხაილ ხელაევი 1 მ., სოსიკო ჩიკვაძემ 1 მ., დიკონმა ივ. მაისურაძემ 1 მ., ზაქარია ბარსაევი 1 მ., დავით ახუნდოვი 1 მ., ბიორგი დევიძემ 1 მ., მღვ. მიხაილ შირასოვი 1 მ., იოსებ მაისურაძემ 1 მ., პიჭაძემ 1 მ., დავით ქაქნაძემ 1 მ., ილია შიუკოვი 1 მ., მასილ ბლუჩიძემ 1 მ., მღვ. მათე მირიანოვი 2 მ., მღვ. ბრიგორი თუშუროვი 2 მ., მღვ. დიმიტრი ძალატოზოვი 2 მ., მიხაილ ვიცხელაური 2 მ., ლეკანოზმა სოლომან შირანოვი 2 მ., დავით ხელაევი 1 მ., პრინციპალი აბრამ ჩუხუროვი 30 კაპ. მლისეი იშხნელო 1 მ.,—სრულებით: 655 მან. და 30 კაპეიკი.

ამ ფულიდან გასავალი იყო: მგალობელთ მიეცათ ჯამაგირად 330 მანეთი, უ. მაჭუკარიანს 30 მ. ერთისთვის შედგენისათვის ვალოზისა ნოტიო; ღურვალს გაკეთებისათვის სკამებისა 6 მ., სტეარინის სანთელი გასკიდულარს 3 მ. 50 მ., ჭისგარმონის გასამართად მიეცა 7 მ., ნოტების ქალაღისათვის დახაზვით: 2 მ. 40 კ. და ესრეთ: 378 მანეთი და 90 კაპეიკი.

ხოლო ძირს დაშობის 276 მ. 40 კაპეიკი. აქედან 270 მანეთი ბანკში არის კნიკით შეტანილი; ხოლო აქვს მანეთი და ორი აბაზი არხიმანდრიტს მაკარისთან.

წვერნი კომიტეტისა: არხიმანდრიტი მაკარი. მღვდელი ბრიგორ მღვდელი ივ. მღვდელი ალექსანდრე მოლოდინოვი.

ვისაც სურს იყიდოს მშრალი ხეები ფიჭვისა და სხვა საშენებელ ტყის, შეუძლიან მიმართოს რკინის გზის ვაგზალზედ, სადაც შეშას აწყობენ.

დაწერილებით პირობების შეტყობა შეიძლება არსენალის ქუჩაზე სახლის № 31 უფ. შულანოვის სახლებში. იქითხეთ ბუჭყიაშვილი.

(3-1)

რძ. ვაპ.	დღო.	საღა.	II კ.	III კ.	ბელეგრავი	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამაშურნალო.
თფილისი . . .	9 21	5 18	18	კაპ. 3.	მ. კაპ.	მღვ. სიტყვა თფილისიდან:	თფილისი, 9 მან.სს.		მრევნ. ს. მედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა . . .	10 11	6 27	- 85	- 44	ძაქახიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . .	50	შქე. თეთ. ბანჯისა, ფთ.	2	ავეთმყოფებს მიიღვენ ყოველს
ბორი . . . . .	11 58	9 43	3	1 53	როსტოვს, მდესას, მოსკოვს	2	შქელი წითელი . . . . .	1 60	დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ხაშური . . . . .	1 29	11 57	4 73	2 42	პეტრბულს, ვარშავას . . . . .	2	ბამბა მრევნისა, ფთი . . . . .	7 20	მ. რ. შ. ბ. ა. თ. ს. ვერმიშვილი და ბ. რ. ლევიჩი—შინაგ. ავთ., ძილქარიანც—ქალის ექიმი და საშვილონოს ოპერაციები.
სურამი . . . . .	1 44		4 90	2 61	მსმალეთში, შვეიცარიაში . . . . .	3	— ამერიკისა, ფთი . . . . .	8 40	ს. ა. მ. შ. ბ. ა. თ. ს. ვერმიშვილი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებო და ბავშვის. პეტროვი—თვალის.
შვირილი . . . . .	5 49		7 21	3 69	იტალიაში და საფრანგეთში . . . . .	3 50	ბაპენტილი ბამბა ფთი . . . . .	9 60	მ. თ. შ. ბ. ა. თ. ს. ვერმიშვილი შინაგ. ავთ. ავთ., ძილქარიანც—ქალის ექიმი და საშვილონოს ოპერაციები.
რიონი . . . . .	6 57		8 44	4 31	ინგლისში . . . . .	3 75	მატყელი თუშური ფთი . . . . .	6 20	ს. ა. მ. შ. ბ. ა. თ. ს. ვერმიშვილი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებო და ბავშვის. პეტროვი—თვალის.
სამტრედია . . . . .	7 51		9 66	4 93			— თრაქაშია ფთი . . . . .	3 60	მ. თ. შ. ბ. ა. თ. ს. ვერმიშვილი შინაგ. ავთ. ავთ., ძილქარიანც—ქალის ექიმი და საშვილონოს ოპერაციები.
ახალ-სენაკი . . . . .	8 43		10 71	5 47			აბრეშუმი ნუხური სტ . . . . .	2 10	მ. თ. შ. ბ. ა. თ. ს. ვერმიშვილი შინაგ. ავთ. ავთ., ძილქარიანც—ქალის ექიმი და საშვილონოს ოპერაციები.
შოთი . . . . .	9 50		12 24	6 26			მონი, ფთი . . . . .	6 20	მ. თ. შ. ბ. ა. თ. ს. ვერმიშვილი შინაგ. ავთ. ავთ., ძილქარიანც—ქალის ექიმი და საშვილონოს ოპერაციები.
შოთი . . . . .	9 3						მონის სანთელი ფთი . . . . .	7	ნ. ა. ბ. ა. თ. ს. ვერმიშვილი შინაგ. ავთ. ავთ., ძილქარიანც—ქალის ექიმი და საშვილონოს ოპერაციები.
ახალ-სენაკი . . . . .	10 14		1 53	- 78			სტეარინის სანთელი, ფთ. . . . .	12 45	ნ. ა. ბ. ა. თ. ს. ვერმიშვილი შინაგ. ავთ. ავთ., ძილქარიანც—ქალის ექიმი და საშვილონოს ოპერაციები.
სამტრედია . . . . .	11 5		2 61	1 33			ხორცი ძროხისა, ლიტ . . . . .	90	ნ. ა. ბ. ა. თ. ს. ვერმიშვილი შინაგ. ავთ. ავთ., ძილქარიანც—ქალის ექიმი და საშვილონოს ოპერაციები.
რიონი . . . . .	12 13		3 84	1 97			— ცხვრისა, ლიტრა . . . . .	1 8	ნ. ა. ბ. ა. თ. ს. ვერმიშვილი შინაგ. ავთ. ავთ., ძილქარიანც—ქალის ექიმი და საშვილონოს ოპერაციები.
შვირილი . . . . .	1 18	ლაგ.	5 3	2 56			სპირტი ვედრო . . . . .	4 50	ნ. ა. ბ. ა. თ. ს. ვერმიშვილი შინაგ. ავთ. ავთ., ძილქარიანც—ქალის ექიმი და საშვილონოს ოპერაციები.
სურამი . . . . .	5 12		1 10	7 34			შაქარი, ბროც. ფთი . . . . .	7 30	ნ. ა. ბ. ა. თ. ს. ვერმიშვილი შინაგ. ავთ. ავთ., ძილქარიანც—ქალის ექიმი და საშვილონოს ოპერაციები.
ხაშური . . . . .	5 39		1 37	7 51			— ფხვნილი ფთი . . . . .	5 60	ნ. ა. ბ. ა. თ. ს. ვერმიშვილი შინაგ. ავთ. ავთ., ძილქარიანც—ქალის ექიმი და საშვილონოს ოპერაციები.
ბორი . . . . .	7 5		4 8	9 24			შავა გრგვლი, გირვ . . . . .	60	ნ. ა. ბ. ა. თ. ს. ვერმიშვილი შინაგ. ავთ. ავთ., ძილქარიანც—ქალის ექიმი და საშვილონოს ოპერაციები.
მცხეთა . . . . .	8 50		6 59	11 39			ხეთი ქუნჯულისა ფთი . . . . .	11 80	ნ. ა. ბ. ა. თ. ს. ვერმიშვილი შინაგ. ავთ. ავთ., ძილქარიანც—ქალის ექიმი და საშვილონოს ოპერაციები.
თფილისი . . . . .	9 31		7 56	12 24			თამბაქო, საწულღო ფთ. . . . .	7 30	ნ. ა. ბ. ა. თ. ს. ვერმიშვილი შინაგ. ავთ. ავთ., ძილქარიანც—ქალის ექიმი და საშვილონოს ოპერაციები.